



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების

სახელმწიფო მომსახურების სფეროს

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„---15---“ ---06--- 2017 წელი

ეგზ. N2

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფინანსური აუდიტის ანგარიში

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი N: 29/36

შინაარსი

შემოკლებები.....	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები.....	4
საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება.....	5
შრომის ანაზღაურება.....	5
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები.....	7
2016 წელს 11 თვეში გაწეული გადასახდელების საშუალო ჯამური მონაცემების შედარება დეკემბრის თვესთან.....	7
დებიტორული და კრედიტორული დავალიანება.....	8
შესყიდვები.....	9
სატრანსპორტო ხარჯები.....	10
მივლინებები.....	11
წარმომადგენლობითი ხარჯები.....	11
საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობა.....	11
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	12

შემოკლებები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია – მთავრობის ადმინისტრაცია;
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო – შესყიდვების სააგენტო;

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების და „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა

უმადლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას (პროგრამული კოდი 04 00) საბიუჯეტო განაცხადით წარდგენილი ჰქონდა 18,000.0 ათასი ლარის ასიგნება. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 20,577.0 ათასი ლარი. დამტკიცებულსა და დაზუსტებულ გეგმებს შორის სხვაობა გამოწვეულია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადმინისტრაციისთვის 2,577.0 ათასი ლარის გამოყოფით. დაზუსტებული გეგმის ფარგლებში ადმინისტრაციის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19,423.7 ათასი ლარი. ადმინისტრაციის (პროგრამული კოდი 04 01) საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის N626 განკარგულებით დამტკიცებული დებულებით და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მთავრობის ადმინისტრაციის პროგრამულ კოდში¹ შემავალ ეკონომიკური საბჭოს აპარატის (პროგრამული კოდი 04 02) საქმიანობა და უფლება-მოვალეობები განისაზღვრებოდა „ეკონომიკური საბჭოს აპარატის დებულებისა და საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის N665 დადგენილებით, ხოლო ბიზნესომბუდსმენის აპარატის (პროგრამული კოდი 04 03) საქმიანობა რეგულირდება „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონით.

¹ 04 00

წლის ასიგნების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებები:

პროგრამული კოდი 04 00

/ათას ლარში/

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გაგმით	დაზუსტებული გაგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი
მთლიანი ასიგნება	18,00.0	20,577.0	19,641.9	19,423.7	19,423.7	19,750.2
ხარჯები	16,320.0	18,890.5	18,423.1			
შრომის ანაზღაურება	9,054.0	8,903.5	8,877.9	8,771.9	8,771.9	8,771.9
საქონელი და მომსახურება	7,078.0	9,733.4	9,364.5	9,258.1	9,258.1	9,271.4
სოც.უზრუნველყოფა	88.0	153.6	147.0	141.2	141.2	141.2
სხვა ხარჯები	100.0	100.0	43.6	43.6	43.6	90.1
არაფინანსური აქტივები	1,680.0	1,680.0	1,201.9	1,201.9	1,201.9	
ვალდებულების კლება		6.9	6.9	6.9	6.9	
მირითადი კაპიტალის მოხმარება						827.2
გრანტები						648.2

შრომის ანაზღაურება

2016 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრა 262 ერთეულის ოდენობით. დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მთავრობის ადმინისტრაციის საშტატო ოდენობამ შეადგინა 254 თანამშრომელი. 2016 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ცვლილება განხორციელებულია 2-ჯერ, რაც გამოწვეულია რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების

დეპარტამენტის გაუქმებით და ეკონომიკური საბჭოს აპარატის ლიკვიდაციით. ფაქტიურად წლის განმავლობაში (საშუალოდ) დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 222 ერთეული.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2016 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით სულ გაცემულია 8,771.9 ათასი ლარი. მათ შორის:

დასახელება	თანხა
თანამდებობრივი სარგო	4,871.6
დანამატი	3,490.2
პრემია	410.1

2016 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის თანამშრომლებზე პრემიები გაცემულია მხოლოდ 3 შემთხვევაში „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის სამართლებრივი აქტების² საფუძველზე ადგილი აქვს ადმინისტრაციის თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატების დაწესების ფაქტს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.

საქართველოს 2015–2016 წლების „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N182 განკარგულების საფუძველზე, შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო არაუმეტეს 75 ერთეულით. 2016 წლის განმავლობაში შტატგარეშე მომუშავე საშუალოდ 66 თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემულია 1,659.9 ათასი ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ აღემატება შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას.

² საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის 2016 წლის 20 იანვრის N 29 ბრძანება და მასში 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები

2016 წელს მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 2,577.0 ათასი ლარი, საკასო და ფაქტიურმა ხარჯმა კი 2,573.0 ათასი ლარი.

დასახელება	გეგმა	გადახდა	შესრულება (%)
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	ათას ლარებში	ათას ლარებში	
ჯამური	2,577.0	2,573.0	99,85%
ხარჯები	2,577.0	2,573.0	
საქონელი და მომსახურება	2,577.0	5,573.0	
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,548.0	2,548.0	100%
რეკლამის ხარჯი	410.7	410.7	100%
საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	2,137.0	2,137.0	100%
წარმომადგენლობითი ხარჯი	25.0	25.0	100%

2016 წლის 11 თვეში გაწეული გადასახდელების საშუალო ჯამური მონაცემების შედარება დეკემბრის თვესთან

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (04 00)

/ათას ლარებში/

მუხლი	სულ 2016 წლის 11 თვე	საშუალო 11 თვე	დეკემბერი	სხვაობა
პრემია	40.2	3.7	370.0	366.3
შტატგარეშე მომუშავეთა პრემია	16.3	1.5	90.7	89.2
წარმომადგენლობითი ხარჯები	784.0	71.3	134.0	62.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	776.5	70.6	425.4	354.8
მივლინება ქვეყნის გარეთ	1,889.7	171.8	194.4	22.6

ცხრილიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი მუხლის ზრდა დეკემბრის თვეში ძირითადად გამოწვეულია საახალწლო ღონისძიებების, საჩუქრების შესყიდვისა და ევროსაბჭოსთან თანამშრომლობის შედეგად ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში საკონფერენციო დარბაზის დაქირავების ხარჯებით. მივლინების მუხლში თანხის ზრდა გამოწვეულია „დავოსის“ ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმზე დასწრების მიზნით სამივლინებო თანხების გაცემით. პრემიის მუხლში (როგორც შტატით გათვალისწინებულ ასევე შტატგარეშე მომუშავეთა) თანხის ზრდა გამოწვეულია სადღესასწაულო პრემიის გაცემით, ხოლო არაფინანსური აქტივების მუხლში თანხის ზრდა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განკარგულებების საფუძველზე სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან კომპანია „Microsoft“-ის ლიცენზიების შესყიდვით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება

მთავრობის ადმინისტრაციას 2016 წლის 1 იანვრისთვის ნაშთად ერიცხებოდა 27.8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება: მათ შორის 5.8 ათასი ლარი მივლინების მუხლით, 1.1 ათასი ლარი წარმომადგენლობითი მუხლით, ხოლო 20.9 ათასი ლარი ტრანსპორტის, ტექნიკის და ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლით. 2017 წლის 1 იანვრისთვის კი ადმინისტრაციაზე რიცხულმა კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 9.8 ათასი ლარი.³ 2016 წლის 1 იანვრისთვის დებიტორული დავალიანებები შეადგენდა 350.2 ათას ლარს: აქედან შრომის ანაზღაურების მუხლით 0.3 ათას ლარი, მივლინების მუხლით 214.3 ათასი ლარი, ოფისის ხარჯის მუხლით 2.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით 35.2 ათასი ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 45.0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 53.4 ათასი ლარი. მთავრობის ადმინისტრაციისთვის 2017 წლის 1 იანვრისთვის რიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენდა 362.3 ათას ლარს.⁴

³ საქონელი და მომსახურების მუხლით 8.4 ათასი ლარი

⁴ დებიტორული დავალიანების ზრდა გამოწვეულია 2016 წლის ბოლოს მომწოდებლებზე წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხებით

სახელმწიფო შესყიდვები

მთავრობის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის ორი ერთეული ფოტოაპარატის შესყიდვის მიზნით 2016 წლის 1 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში⁵ მონაწილეობას იღებდა ორი პრეტენდენტი. ვაჭრობის ძირითად დროში საუკეთესო ფასი შეთავაზებული იყო შპს „ინოვატორი“-ს მიერ, რომელთანაც 2016 წლის 17 თებერვალს გაფორმებულია 30,6 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება⁶. სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი ობიექტის ტექნიკური პარამეტრები ცალკეულ პოზიციებზე წარმოდგენილი იყო ისეთი მაჩვენებლებით, რომლებსაც აკმაყოფილებს მხოლოდ ერთი მწარმოებლის⁷ მიერ დამზადებული საქონლის ტექნიკურ მონაცემები, კერძოდ ორივე ფოტოაპარატის შემთხვევაში ვიდეოფაილების ზომები წარმოდგენილი იყო შემდეგი მაჩვენებლებით: 1920 x 1080 (29,97, 25, 23,976 კადრი/წმ) შიდაკადრული შეკუმშვით / კადრთაშორის შეკუმშვით, 1280 x 720 (59,94, 50 კადრი/წმ) შიდაკადრული შეკუმშვით / კადრთაშორის შეკუმშვით, 640 x 480 (59,94, 50 კადრი/წმ) შიდაკადრული შეკუმშვით / კადრთაშორის შეკუმშვით, ხოლო ვიდეოგადაღების ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო ზუსტად 29 წთ 59 წმ - ით. აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილე ორივე პრეტენდენტს სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ჰქონდათ „Canon EOS-5DIII“ მოდელის ფოტოაპარატები შესაბამისი კომპლექტაციით. ანალოგიური შემთხვევაა ორი ერთეული ვიდეოკამერის აქსესუარის - შტატივის შესყიდვის შემთხვევაშიც (**NAT160002244**), რომლის სატენდერო დოკუმენტაციაში დაზუსტებით არის მითითებული საქონლის ისეთი პარამეტრები, როგორიცაა ფეხის თუბის დიამეტრი (16,25 მმ), საპირწონედ წონა (8.5 კგ), გრავიტაციის ცენტრი (125 მმ) და სხვა.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის⁸ თანახმად დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის 6 ივლისის რეკომენდაციის თანახმად კი „ასევე დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ისეთი კონკრეტული

⁵ გამარტივებული ელ ტენდერი SPA160003534

⁶ N50

⁷ „Canon“-ის

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12¹

ტექნიკური მახასიათებლების მითითება, რაც მთლიანობაში წარმოადგენს მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდელის საქონლის ტექნიკურ მახასიათებლებს“.

სატრანსპორტო ხარჯები

მთავრობის ადმინისტრაციის ბალანსზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა 42 ავტომანქანა. წლის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გრანტის სახით უსასყიდლოდ მიღებული და ამავე პერიოდში ასევე გრანტის სახით გადაცემული⁹ ავტომანქანების გათვალისწინებით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხულმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობამ შეადგინა 42 ერთეული. ავტომანქანებზე ფაქტიურად გაწეული საწვავის ხარჯის ანალიზით ირკვევა, რომ 2016 წლის განმავლობაში დადგენილი ლიმიტებით გათვალისწინებული 147 100 ლიტრის ნაცვლად ფაქტიურად გახარჯულმა საწვავის რაოდენობამ შეადგინა 128 725 ლიტრი.

(2016 წელი) თვე	2016 წლის საწვავის ლიმიტი (ლიტრი)	ორგანიზაციის ხარჯი (ლიტრი)	სხვაობა (ლიტრი)	შესრულება (%)
იანვარი	11750	9 964	1 786	85%
თებერვალი	11750	9 879	1 871	84%
მარტი	11750	10 906	844	93%
აპრილი	11750	11 498	252	98%
მაისი	11750	11 046	704	94%
ივნისი	11750	10 347	1 403	88%
ივლისი	11750	11 219	531	95%
აგვისტო	12950	11 453	1 497	88%
სექტემბერი	12950	10 576	2 374	82%
ოქტომბერი	12950	10 595	2 355	82%
ნოემბერი	13250	10 581	2 669	82%
დეკემბერი	12750	10 661	2 089	84%
ჯამი	147 100	128 725	18 375	87%

⁹ 6 ავტომანქანა

მივლინებები

ადმინისტრაციის მიერ 2016 წელს მივლინების მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2,192.8 ათასი ლარი, მათ შორის ქვეყნის შიგნით მივლინების დროს 108.8 ათასი ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ 2, 084. 0 ათასი ლარი.

მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებიდან დაბრუნების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის „ჩასხდომის ბარათები“, რაც ინვოისით გადახდილი თანხის ამსახველ დოკუმენტებთან¹⁰ ერთად წარმოადგენს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელ საბუთს. აღსანიშნავია, რომ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „არა უგვიანეს 60 დღისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები“.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2016 წლის განმავლობაში მთავრობის ადმინისტრაციის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების სახით გახარჯულია სულ 918.0 ათასი ლარი. აქედან სხვადასხვა სახის საჩუქრების¹¹ შესასყიდათ გახარჯულია 264.7 ათასი ლარი. აღნიშნული მატერიალური ფასეულობების ბალანსიდან ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ საწყობიდან ადმინისტრაციის სამსახურის თანამშრომლების (პროტოკოლის სამსახური)სახელზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, ფასეულობების კონკრეტულ პირებზე მათი საჩუქრად გადაცემის ფაქტების¹² დადასტურების გარეშე.

საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობა

მთავრობის ადმინისტრაციაში 2017 წლის 1 აპრილის მდგომარეობით რაოდენობრივად (დანომრილი და დასურათებული) ფიქსირდება 2013–2017 წლებში

¹⁰ რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ჩასხდომის ბარათში აღნიშნულ მარშრუტებს

¹¹ ფერწერული ტილოები, ტიხრული მინაწკარი, ალკოჰოლური სასმელები და სხვა

¹² მაგალითად, უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი აქტი, მოხსენებითი ბარათი და სხვ.

საჩუქრების სახით მიღებული 315 დასახელების, სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული ფასეულობებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია შიდა ნორმატიული აქტით დარეგულირდეს საჩუქრების მიღების, აღიცხვისა და შემდგომი განკარგვის საკითხი. 2013 წლამდე საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობების აღიცხვის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.¹³


პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში დაფიქსირებული უზუსტობების გაუთვალისწინებლად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.


წამყვანი აუდიტორი
მურმან დარახველიძე



უფროსი აუდიტორი
პაპუნა ხოფერია



აუდიტორი
გიორგი მშვილდაძე



აუდიტორ-ასისტენტი
რუსუდან აბულაშვილი



¹³ სიტყვიერი განმარტებით 2013 წლამდე ფასეულობების რაოდენობრივი და ბუღალტრული აღრიცხვა არ არსებობდა.